მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ახალქალაქი 01 იანვარი 2023 წ.

ერთი მხრივ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია,შემდგომში წოდებული, როგორც „მერია" წარმოდგენილი მერის, მელქონ მაკარიანის მიერ ,

და მეორე მხრივ "სს სამედიცინო კორპორაცია ევექსი- ახლაქალაქის ჰოსპიტალი" , შემდგომში წარმოდგენილი მთავარი მენეჯერის ალექსან თოროიანის მიერ („მერია" და „ჰოსპიტალი", ერთად მოხსენიებული, როგორც მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე").

- მხარეები მზად არიან ითანამშრომლონ ურთიერთნდობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპეპიდან გამომდინარე.
- მხარეებს სურთ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის (0-დან 6-წლამდე) სტაციონარული მომსახურების 20%, ასაკით პენსიონერებისათვის სტაციონარული მომსახურების 10%, და შშმპ პირებს(მკვეთრად მნიშნელოვნად გამოხატული ხარისხი) (შემდგომში „პაციენტი"), მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, სტუდენტის სტატუსის მქონე პირებს, სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი მოსახლეობის და სოფლის მოსახლეობის , რომელთაც არ ყავთ უბნის ექიმი: - კონსულტაციის საფასურის 25 ლარის დაფინანსება.
- ჰოსპიტალს აქვს გამოცდილება და შესაძლებლობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელოს წინამდებარე მემომარანდუმით გათვალისწინებული მომსახურება.

მხარეები მოქმედებენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში , წინამდებარე მემომარანდუმზე ხელმოწერით თანხმდებიან შემდეგზე:

1.მერია უზრუნველყოფს პაციენტისთვის იმ სტაციონარული სამედიცინო მომსახურებისათვის თანაგადახდის წილის პროცენტის სრულად დაფინანსებას არაუმეტეს

300(სამასი) ლარისა თითეულ პაცენტზე ,რომლებიც „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახბ „საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილების თანახმად არ ფინანსდება სრულად (100%-ით(ასი პროცენტით));

2. წინამდებარე მემომარანდუმის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული დაფინანსების მიზნებისათვის მერიის მხრიდან გამოყოფილი იქნება 60000 ლარი;

3.მერია იღებს ვალდებულებას , თანაგადახდით ასანაზღარებული და კონსულტაციის თანხის გადახდა უზრუნველყოფს ჰოსპიტალის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

4.მერია ვალდებულია გასცეს წერილობითი მიმართვა პაციენტისათვის თანაგადახდის პროცენტის დაფინანსების შესახებ.

5. ჰოსპიტალი იღებს ვალდებულებას,უზრუნველყოს პაციენტთა სამედიცინო მომსახურება, მის ქსელში შემავალი -ახალქალაქის ჰოსპიტალის მეშვეობით, წინამდებარე მემომარანდუმის დანართი #1-ში წარმოდგენილი ფასების შესაბამისად .

6. წინამდებარე მემომარანდუმზე ხელმოწერით ჰოსპიტალი ადასტურებს, რომ მას მიღებული აქვს საქართველოს მოქმედი კანონმდბლობით გათვალისწინებული ყველა სახის ნებართვა, ლიცენზია გააჩნია ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ მოვალეობათა და ფუნქციათა შესასრულებლად.

7.მხარეთა მიერ შეთანხმებულია, რომ მხარეები მაქსიმალური ძალისხმევით ითანამშრომლობენ პაციენტთა უკმაყოფილების თავიდან აცილების, უკმაყოფილების მიზეზების დადგენისა და მათი აღმოფხვრის საკითხებში.

8. წინამდებარე მემომარანდუმი ძალაშია ხელმოწერის თანავე და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩთვლით .

9. მემომარანდუმში ცვლილელების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით , ორივე მხარის შეთანხმებით.

10. ამ მემომარანდუმის ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

11.მემომარანდუმი რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შორის წარმოქმნილი სადავო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. წინაამღდეგ შემთხვევაში, ყველა დავა ექვემდებარება სასამართლო განხილვას.

12. მემორანდუმი შედგენილია 2 (ორ) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა ხელმოწერები

„მერია“

ახალქალაქის

მუნიციპალიტეტის მერია

ს/კ: 223366122

TRESGE22

ა/ა # GE24NB0330100200165022

მელქონ მაკარიან

მერი

.....

„ჰოსპიტალი“

სს სამედიცინო კორპორაცია

ევექსი- ახლაქალაქის ჰოსპიტალი

ს/კ: 404476205

BAGAGE22

ა/ა # GE52BG0000000161524662

ალექსან თოროიან

მთავარი მენეჯერი

.....